**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისია**

**გადაწყვეტილება**

**დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** მ. ბ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 19.03.2021

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 012/21

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ დ. ღ.-ის მიმართ /სიითი №/

**საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** ადვოკატ დ. ღ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 19 მარტს საჩივრით მომართა მ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ღ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი დ. ღ. არის მისი მოდავე მხარის გ. რ.-ის ადვოკატი. მხარეებს შორის დავა მიმდინარეობს სასამართლოში უძრავი ქონების განაწილებასთან დაკავშირებით. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა დ. ღ.-მ მოსამართლეები „შეიყვანა შეცდომაში და გადამალა საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები“, არ მიაწოდა ინფორმაცია სასამართლოს სწორი ინფორმაცია ფაქტების შესახებ, რის გამოც სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა „არასწორი გადაწყვეტილებები“.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისმა მეუღლემ ა. რ.-მა გარდაცვალებამდე აჩუქა მამისგან დანატოვარი ქონება. მომჩივანის მეუღლეს პირველი ქორწინებიდან ყავს სამი შვილი, რომლებსაც აჩუქა

ფართები. მომჩივანისთვის დანატოვარი ფართის 46.54 კვ.მ საკუთრება დამტკიცდა ამხანაგობის კრების ოქმით და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვითაც საკუთრება რეგისტრირებული იყო ა. რ.-ის სახელზე. მომჩივანის მეუღლემ სიცოცხლეშივე თავის შვილს შეუძინა ლითონ კონსტრუქციის მე-6 დასახლებაში ფართი. ზემოაღნიშნული ფაქტები, მათ შორის საქმეში არსებული „ანდერძის" შესახებ ინფორმაცია და მტკიცებულებები ადვოკატმა დ. ღ.-მ „გადამალა" და არ წარუდგინა სასამართლოს.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, გ. რ. ფლობს 40.46 კვ.მ-ს საიდანაც მას ეკუთვნის მეუღლის წილი და ასევე მ. ს.-ისგან წილი. ადვოკატ დ. ღ.-ს არ უმსჯელია „საერთო სამკვიდრო მოწმობაზე" და იმის თაობაზე რომ ა. რ.-ის ქონება შეადგენს 66 კვ.მ საცხოვრებელ ფართს, 62.კვ.მ დამხმარე ფართს, დამატებით 5 კვ.მ.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ფაქტები „ზეპირად იცოდა, მაგრამ სასამართლო არ ითვალისწინებდა, მხოლოდ მტკიცებულებები მოიპოვა გვიან". მომჩივანის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას მეუღლის ქონებიდან მხოლოდ 7 კვ.მ ფართი ერგო.

1.5 მ. ბ.-ის განცხადებით, ადვოკატი დ. ღ. „მუდმივად აყენებს შეურაცხყოფას", იჭრება მის საცხოვრებელ ფართში, პატრულის თანდასწრებით ამცირებს, სარჩელი წარადგინა მის წინააღმდეგ სასამართლოში და „უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე აკისრებს ქირავნობას". ადვოკატი მტკიცებულებათა გადამალვის გამო, "უკანონოდ ცდილობს მომჩივანის ქონების დაუფლებას", დაუყადაღა ქონება და მისი ქმედებების გამო მ. ბ.-მ საჩივრით მიმართა პროკურატურას.

**2 ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2021 წლის 25 ივნისს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის უწევდა თავის კლიენტებს წარმომადგენლობას, რომლებსაც სხვადასხვა ქონებრივი დავა ჰქონდათ მ. ბ.-სთან. დავები დასრულდა ადვოკატ დ. ღ.-ის კლიენტთა სასარგებლოდ. ადვოკატის განცხადებით, მ. ბ.-ს წარმოადგენდნენ კვალიფიციური ადვოკატები. სამოქალაქო დავა მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპით და თითოეული მხარე წარადგენს მტკიცებულებებს, რომლებიც ამართლებს მის სასარჩელო მოთხოვნებს. ამდენად, საქმეში ადვოკატმა დ. ღ.-მ წარადგინა ის მტკიცებულებები, რომლებიც იქნებოდა მისი კლიენტების სასარგებლო. იმ შემთხვევაში , თუ რომელიმე მტკიცებულების წარდგენა სურდა მ. ბ.-ს, შეეძლო წარედგინა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, რის შესახებაც მ. ბ. განმარტებაში უთითებს, აღნიშნული მტკიცებულებები საქმეში დევს. ამასთან, ადვოკატის განცხადებით, მის ინტერესებში არ შედის მოდავე მხარის ინტერესების დაცვა.

**II სამოტივაციო ნაწილი**

**3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:**

3.1 ადვოკატი დ. ღ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 მ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 19 მარტს.

3.3 სადავო მოქმედება ხორციელდება 2020 წლიდან დღემდე. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

**4. შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ დ. ღ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, დ. ღ.-მ, როგორც მოდავე მხარის ადვოკატმა არ წარუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები და არ მიაწოდა ინფორმაცია კონკრეტული ფაქტების შესახებ, „მუდმივად აყენებს მას შეურაცხყოფას“:

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ღ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 6(ა)).
>
> ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

5.3 ადვოკატმა კლიენტის ინტერესები უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოში დადგენილ ქცევის წესებსა და პროცესუალურ კანონმდებლობას.

5.4 ადვოკატის პროფესიის არსი და ბუნება წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია, მეორე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს. კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში, მათ შორის სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

5.5 საჩივრის ავტორი თავის პრეტენზიაში აღნიშნავს, რომ ადვოკატი დ. ღ. არასწორ ინფორმაციას აწვდიდა სასამართლოს საქმის ირგვლივ, არ წარუდგინა, „დაუმალა“ სასამართლოს ის მტკიცებულებები, რაც მნიშვნელოვანი იყო. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი დ. ღ. ქონებრივ დავებში წარმოადგენდა მ. ბ.-ის მოდავე მხარეთა ინტერესებს (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება). შედეგად, ადვოკატ დ. ღ.-ის პროფესიული ინტერესი იყო სასამართლოში კლიენტების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება, მათ შორის პოზიციის დაფიქსირებისას და მტკიცებულებათა წარდგენის დროს, რა დროსაც გასათვალისწინებელია პროცესის შეჯიბრებითი ხასიათი და მოსამართლის ფართო დისკრეცია - რამდენად გაიზიარებს ის მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს.

5.6 შესაძლოა, მ. ბ.-ის, როგორც მოდავე მხარისთვის არ იყო მისაღები და მოსაწონი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, მის მიერ

წარმოდგენილი მტკიცებულებები და პოზიცია, რადგან ის წარმოადგენდა თავისი კლიენტების ინტერესებს, რომელსაც უფლება ჰქონდა სასამართლოსთვის წარედგინა ის მტკიცებულებები და ფაქტები, რაც მისი კლიენტის ინტერესებისთვის იყო სასარგებლო. თავის მხრივ, მ. ბ.-ს, როგორც მოდავე მხარეს შეეძლო ემოქმედა სამართალწარმოების შეჯიბრებითობის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს მიეცა შესაძლებლობა საქმისწარმოების პროცესში მისი შუამდგომლობით გამოკითხულიყვნენ მოწმეები, თუმცა მომჩივანი 2021 წლის 20 სექტემბერს დაუკავშირდა ეთიკის კომისიის აპარატს და აცნობა, რომ მოწმეები ვერ შეძლებდნენ სხდომაზე გამოცხადებას. გარდა მომჩივანის განმარტებისა, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებულ ვარაუდის ფარგლებში იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატი დ. ღ. კლიენტთა ინტერესებს კანონდარღვევით იცავდა და სასამართლოს ცრუ ინფორმაციას აწვდიდა საქმესთან დაკავშირებით.

5.7 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მ. ბ. საჩივარში ზოგადად უთითებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ მის მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფის ფაქტზე, „თაღლითურ“ ქმედებებზე და „უკანონო მოქმედებებზე“. ამ შემთხვევაში, არ დასტურდება საჩივრის ავტორის, როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის პირადი ღირსების ხელყოფა და მის მიერ კანონიერების პრინციპის დარღვევით საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

5.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N012/21 ადვოკატ დ. ღ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/